ტესტი ისტორიაში

I ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 70

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი 40 წუთი

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 1-29.

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენს მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. ძველი აღმოსავლეთის რომელი სახელმწიფო წარმოიქმნა მცირე აზიაში?

ა. ფინიკიის

ბ. ირანის

გ. ურარტუს

დ. ხეთების

2. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა დარიოს I-ის გადაწყვეტილება, გაელაშქრა ათენზე?

ა. ათენმა დახმარება აღმოუჩინა სპარსელთა ბატონობის წინააღმდეგ აჯანყებულ მცირეაზიურ ბერძნულ პოლისებს

ბ. ათენის, როგორც საბერძნეთის დედაქალაქის, დაპყრობა მთელი საბერძნეთის დამორჩილებას ნიშნავდა

გ. ათენის სტრატეგიული მდებარეობის გამო მხოლოდ მისი აღების შემთხვევაში შეძლებდა ლაშქრობას ევროპისაკენ

დ. ათენის მეთაურობით შექმნილი ბერძნული პოლისების საზღვაო კავშირი აბრკოლებდა სპარსული სავაჭრო გემების მიმოსვლას

3. რა იყო სოლონის მიერ ათენში განხორციელებული რეფორმების ერთ-ერთი შედეგი?

ა. სენატის არჩევნების გაუქმება

ბ. დემოკრატიის დასაცავად კონსულობის შემოღება

გ. სახელმწიფო თანამდებობაზე მყოფი მოქალაქისათვის ხელფასის დანიშვნა

დ. თავისუფალ მოქალაქეთა უფლებების გაზრდა და პირადი თავისუფლების ხელშეუხებლობა

4. რომელ ბრძოლაში დაიღუპა გმირულად მეფე ლეონიდასის მეთაურობით მებრძოლი 300 სპარტელი?

ა. მარათონის

ბ. თერმოპილეს

გ. სალამინის

დ. პლატეას

5. რომელი ისტორიული ფაქტი *<u>არ უკავშირდება</u>* ფარნავაზ მეფის სახელს?

ა. სახელმწიფოს დაყოფა საერისთავოებად

ბ. ქართული მწიგნობრობის შექმნა

გ. არმაზის კერპის შემოღება

დ. მცხეთის დაარსება

6. სამოქალაქო ომის დროს ვის წინააღმდეგ იბრძოდა იულიუს კეისარი?

ა. პიროსის

ბ. მითრიდატეს

გ. პომპეუსის

დ. სპარტაკის

7. რით გამოიჩინა თავი ოქტავიანე ავგუსტუსმა?

ა. დაამარცხა კრასუსი, რითაც რომში დასრულდა რესპუბლიკური მმართველობა

ბ. რომაული ლეგიონების მანევრირებით აიძულა ჰანიბალი, დაეტოვებინა იტალია

გ. დაამარცხა მარკუს ანტონიუსი და გახდა რომის პირველი იმპერატორი

დ. მისი სარდლობით რომის ჯარმა გაანადგურა აჯანყებულ მონათა ლაშქარი

8. რა იყო განხილვის მთავარი საკითხი IV მსოფლიო საეკლესიო კრებაზე?

ა. რომის პაპის უპირატესობა

ბ. არიოზის მოძღვრება

გ. წმ. სამების ერთარსებობა

დ. ქრისტეს ბუნებოვნება

9. რომელი ფაქტია მართებული ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობასთან დაკავშირებით?

ა. შეუწყვიტა ხარკი არაბებს

ბ. დაამარცხა აჯანყებული ლაზები

გ. განახორციელა ეკლესიის რეორგანიზაცია

დ. საბოლოოდ განდევნა ხაზარები საქართველოდან

10. რომელი სახელმწიფოს წინააღმდეგ ომის დროს ილაშქრა ჰერაკლე კეისარმა კავკასიაში?

ა. პართიის

ბ. ტრაპიზონის

გ. ირანის

დ. სახალიფოს

11. რა დამსახურების გამო უბოძა იმპერატორმა ბასილი II-მ დავით III კურაპალატს ახალი მიწა-წყალი?

ა. დავით კურაპალატმა სამხედრო დახმარება აღმოუჩინა იმპერატორს აჯანყებული ბარდა ფოკას წინააღმდეგ

ბ. დავით კურაპალატის ჯარის დახმარებით მოხერხდა იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყებული ბარდა სკლიაროსის დამარცხება

გ. დავით კურაპალატმა ბიზანტიის იმპერატორის უზენაესობა აღიარა და მორჩილება გამოუცხადა

დ. დავით კურაპალატმა დაამარცხა და გაფანტა ბიზანტიის წინააღმდეგ სალაშქროდ მიმავალი თურქ-სელჩუკთა ჯარი

12. რომელი იყო ჯვაროსანთა მიერ შექმნილი სამეფოს დედაქალაქი?

ა. ანტიოქია

ბ. ედესა

გ. იერუსალიმი

დ. ტრიპოლი

13. რაზე შეიძლება მიუთითებდეს ის ფაქტი, რომ დავით IV-მ ყივჩაღები საზღვრისპირა რეგიონებში დაასახლა?

ა. საუკეთესო მიწათმოქმედები იყვნენ და გავერანებულ მხარეებს ააყვავებდნენ

ბ. კარგი ოსტატები იყვნენ და ვაჭრობა-ხელოსნობას ააღორძინებდნენ

გ. გამორჩეული მშენებლები იყვნენ და ციხე-სიმაგრეებს ააგებდნენ

დ. კარგი მეომრები იყვნენ და საზღვრებსაც დაიცავდნენ

14. რომელი მონარქი *<u>არ მონაწილეობდა</u>* III ჯვაროსნულ ლაშქრობაში?

ა. რიჩარდ ლომგული

ბ. კარლოს დიდი

გ. ფრიდრიხ ბარბაროსა

დ. ფილიპე II ავგუსტი

15. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ შეუწყო ხელი გიორგი ბრწყინვალეს, გაეერთიანებინა საქართველო?

ა. ილხანთა სახელმწიფოს დასუსტებამ

ბ. ერთდროულად რამდენიმე ტახტის მემკვიდრედ აღიარებამ

გ. სეფიანთა ირანის მხრიდან საქართველოს დაპყრობის საფრთხემ

დ. ერისთავთა მიერ ხელისუფლების ნებაყოფლობით გადაცემამ

16. რომელი სახელმწიფოს წინააღმდეგ იბრძოდა თემურ-ლენგი?

ა. ეგვიპტის სასულთნოს

ბ. ხაზართა სახაკანოს

გ. არაბთა სახალიფოს

დ. ოქროს ურდოს

17. რატომ ჩაიშალა ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მცდელობა XV საუკუნის II ნახევარში?

ა. ევროპელმა მონარქებმა მხარი არ დაუჭირეს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლას

ბ. ოსმალეთის მოწინააღმდეგეები ვერ შეთანხმდნენ ტერიტორიების განაწილებაზე

გ. ოსმალებმა სასტიკად დაამარცხეს კოალიციის ლიდერობის მოსურნე გერმანიის სამეფო

დ. ოსმალეთის მეზობელთათვის დაუძლეველი აღმოჩნდა რელიგიური წინააღმდეგობანი

18. რა ისტორიული მოვლენის დაწყება განაპირობა კონსტანტინოპოლის დაცემამ 1453 წელს?

ა. რეფორმაციის

ბ. რელიგიური ომების

გ. რეკონკისტის

დ. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების

19. რამ შეუწყო ხელი ივანე IV მრისხანეს დროს სამეფო ხელისუფლების გაძლიერებას რუსეთში?

ა. ტამპლიერთა ორდენის დამარცხებამ

ბ. დედაქალაქის პეტერბურგში გადატანამ

გ. მეფის მიერ გატარებულმა რეფორმებმა

დ. მონღოლების წინააღმდეგ ჯვაროსანთა ლაშქრობებმა

20. რომელ სახელმწიფოთა შორის მიმდინარე ომის ასპარეზად იქცა საქართველო XVI-XVII საუკუნეებში?

ა. სელჩუკთა სასულთნოსა და სეფიანთა სახელმწიფოს

ბ. სეფიანთა სახელმწიფოსა და ოსმალეთს

გ. ოსმალეთსა და სასანიანთა სამეფოს

დ. სასანიანთა სამეფოსა და სელჩუკთა სასულთნოს

21. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა ოლივერ კრომველის გავლენის ზრდა ინგლისის სამოქალაქო ომის დროს?

ა. მხედართმთავრულმა ნიჭმა

ბ. პირადმა კავშირებმა

გ. წარმომავლობამ

დ. სიმდიდრემ

22. რა შედეგი მოუტანა იმერეთის სამეფოს რუსეთ-ოსმალეთს შორის 1774 წელს დადებულმა ქუჩუკ-კაინარჯის ზავმა?

ა. იმერეთის სამეფო რუსეთის მოკავშირე ხდებოდა

ბ. ოსმალეთს ეკრძალებოდა იმერეთიდან ყოველგვარი სახის გადასახადის აღება

გ. იმერეთის სამეფო ოსმალეთის შემადგენლობაში შედიოდა

დ. ოსმალეთი ვეღარ შეძლებდა ქართველების სამხედრო სამსახურში გაწვევას

23. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა სამი კონსულის მმართველობის დაწესება საფრანგეთში XVIII საუკუნის ბოლოს?

ა. განმანათლებლების მოღვაწეობამ

ბ. მეფის გადადგომამ

გ. დირექტორიის პოლიტიკამ

დ. სანკიულოტების აჯანყებამ

24. საქართველოს რომელი მხარეები შევიდა პირველად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში XIX საუკუნის დასაწყისში?

ა. აფხაზეთი და ოდიში

ბ. გურია და აჭარა

გ. სამცხე და ჯავახეთი

დ. ქართლი და კახეთი

25. ვისი დახმარებით დაამარცხეს ავსტრიელებმა აჯანყებული უნგრელები 1849 წელს?

ა. იტალიის რესპუბლიკის

ბ. რუსეთის იმპერიის

გ. ოსმალეთის სასულთნოს

დ. ესპანეთის სამეფოს

26. რა იყო პირველი მსოფლიო ომის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი?

ა. დიდი ბრიტანეთის სურვილი, გაბატონებულიყო მსოფლიო ზღვებზე

ბ. საფრანგეთის სურვილი, გაბატონებულიყო ევროპაში

გ. ავსტრია-უნგრეთის სურვილი, განედევნა ოსმალეთი ბალკანეთიდან

დ. გერმანიის სურვილი, გადაენაწილებინა კოლონიური ქვეყნები

27. რას ისახავდა მიზნად აშშ-ს პრეზიდენტი პარიზის კონფერენციაზე „14 პუნქტის“ წამოყენებით?

ა. ომის წარმოების შედარებით ჰუმანური წესების შემუშავებას

ბ. ომის შემდგომ მსოფლიოში მშვიდობისა და წესრიგის დამყარებას

გ. ომის წამომწყები პირების გასასამართლებლად ტრიბუნალის შექმნას

დ. ომის შედეგად დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობის დახმარებას

28. რა მიზანს ისახავდა პრეზიდენტ რუზველტის „ახალი კურსი“?

ა. ეკონომიკური კრიზისის დაძლევას

ბ. გერმანიის მზარდი აგრესიის შეკავებას

გ. ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიკურ დახმარებას

დ. სსრკ-ს წინააღმდეგ აქტიურ პოლიტიკაზე გადასვლას

29. რა მოიმოქმედა საბჭოთა კავშირმა გერმანიის პოლონეთზე თავდასხმის შემდეგ?

ა. ომი გამოუცხადა გერმანიას

ბ. დაიწყო აღმოსავლეთ პოლონეთის დაპყრობა

გ. მოითხოვა ერთა ლიგიდან გერმანიის გარიცხვა

დ. დადო სამოკავშირეო ხელშეკრულება ინგლის-საფრანგეთთან

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 30-32.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები ან პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

30. ქრონოლოგიურად დაალაგეთ სელჩუკთა ლაშქრობებთან დაკავშირებული მოვლენები:

1. სელჩუკთა პირველი შემოჭრა საქართველოში
2. მანასკერტის ბრძოლაში ბიზანტიელთა დამარცხება
3. სელჩუკთა მიერ ბაღდადის აღება

31. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ვახტანგ VI-სთან დაკავშირებული მოვლენები:

1. შაჰის მოთხოვნით ირანში გამგზავრება
2. დიდი ამალითურთ რუსეთში გადასახლება
3. სულხან-საბას ევროპაში გაგზავნა საგანგებო დავალებით

32. ქრონოლოგიურად დაალაგეთ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დაკავშირებული მოვლენები:

1. საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულების დადება
2. კონსტიტუციის მიღება
3. სომხეთთან ომი

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 33 და 34.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციებზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას.

ილუსტრაციები და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



დავალება 33.

ორივე ილუსტრაციაზე ასახულია ერთიდაიგივე ისტორიული ფაქტი, რომელიც მოხდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **33.1.** რომელი ციხის აღების ეპიზოდია ასახული ილუსტრაციებზე?

(1) **33.2.** რომელ ქალაქში ხდება ილუსტრაციებზე ასახული ისტორიული ეპიზოდი?

(1) **33.3.** რა მოვლენის შემადგენელ ნაწილად ითვლება ილუსტრაციებზე ასახული ისტორიული ეპიზოდი?

(1) **33.4.** რის სიმბოლოს წარმოადგენდა ილუსტრაციებზე ასახული ციხე?

(1) **33.5.** განმარტეთ, რატომ მიენიჭა ილუსტრაციებზე ასახულ ციხეს თქვენს მიერ დასახელებული სიმბოლური მნიშვნელობა?

დავალება 34.

პლაკატი ვებგერდიდან - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“. **კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე**

კითხვები:

(1) **34.1.** რა ისტორიული მოვლენის აღსანიშნავადაა შექმნილი წარმოდგენილი პლაკატი?

(1) **34.2.** რა ეწოდებოდა ოფიციალურად სახელმწიფოს, რომლის ისტორიასთან დაკავშირებულ მოვლენასაც ეძღვნება პლაკატი?

(1) **34.3.** განმარტეთ ილუსტრაციაზე არსებული რა ინფორმაციის საფუძველზე გააკეთეთ საკუთარი დასკვნა და რატომ?

(1) **34.4.** რეალურად, რატომ არ იყო საზეიმოდ აღსანიშნავი ის ისტორიული მოვლენა, რომელსაც ეძღვნება პლაკატი?

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 35 და 36.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტები და შეასრულეთ დავალებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მქონე. თითო არგუმენტი ფასდება 1 ქულით.

დავალება 35. ქართლის მეფე და რომის იმპერატორი

II საუკუნეში რომის იმპერატორმა ადრიანემ ქართლის მეფე ფარსმანი თავისთან დაიბარა. მეფემ თათბირი მოიწვია და რჩევა დიდებულებს კითხა. ნაწილი მეფის წასვლის მომხრე იყო, ნაწილი კი - წინააღმდეგი.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც იმპერატორთან მეფის წასვლის მომხრე საკუთარ პოზიციას დაიცავდა.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც იმპერატორთან მეფის წასვლის მოწინააღმდეგე საკუთარ პოზიციას დაიცავდა.

დავალება 36. ფერარა-ფლორენციის კრება

1439 წელს ფლორენციაში ხელი მოეწერა უნიას ბიზანტიასა და რომის პაპს შორის. ბიზანტიელ არისტოკრატთა ნაწილი ემხრობოდა ამ უნიას, ნაწილი კი კატეგორიული წინააღმდეგი იყო.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც უნიის მომხრე საკუთარ პოზიციას დაიცავდა.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც უნიის მოწინააღმდეგე საკუთარ პოზიციას დაიცავდა.

ინსტრუქცია დავალებისთვის №37.

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 8.

დავალება 37. **რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე**



კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **37.1.** რომელი საუკუნის ვითარებაა ასახული რუკაზე?

(1) **37.2.** რა ისტორიული პროცესია ასახული რუკაზე?

(1) **37.3.** დაასახელეთ ერთი პიროვნება, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა რუკაზე ასახულ პროცესში.

(2) **37.4.** რომელი სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა ქალაქი ვენეცია რუკაზე ასახული პროცესის დასაწყისში და რომელი სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა ის შემდგომ?

(1) **37.5.** რომელი სახელმწიფოს წინააღმდეგ გალაშქრების მარშრუტია დატანილი რუკაზე?

(2) **37.6.** რომელი სახელმწიფოების საზღვრები არ შეცვლილა რუკაზე ასახული პროცესის დროს?

ინსტრუქცია დავალებისათვის № 38.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოტანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

დავალება 38. ნაწყვეტი „ქართლის ცხოვრებიდან“

გამოვიდნენ კახნი და მოადგნენ უფლისციხეს. იყო იმ დროს ქართლის ერისთავი ივანე მარუშისძე. მან გაგზავნა მოციქული დავით კურაპალატის წინაშე და შესთავაზა, რომ გამოელაშქრა თავისი ძალებით და აეღო ქართლი. ან თვითონ დაეკავებინა ის, ან ებოძა ბაგრატ გურგენის ძისთვის, რომელიც აფხაზთა მეფის ასულის ვაჟი იყო და ეკუთვნოდა აფხაზეთი და ქართლი მემკვიდრეობით. მოვიდა დავით კურაპალატი. დატოვა უფლისციხეში გურგენი და ძე მისი, ბაგრატი. იმ დროს ბაგრატი ჯერ არასრულწლოვანი იყო, ამიტომ თანაგამგებლად დაუტოვა მისივე მამა. შეკრიბა ქართლის აზნაურნი და უბრძანა „ეს არის მემკვიდრე ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა. შვილი და გაზრდილი ჩემი და მე ვარ მისი მოურავი და თანაშემწე. ამას დაემორჩილეთ ყოველნი“. დაჰყო კიდევ მცირე ხანი და წავიდა.

გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ქართლის აზნაურებმა ჩამოიყვანეს ლაშქარი კახეთიდან და ჩააბარეს უფლისციხე. შეიპყრეს გურგენი და მისი ძე ბაგრატი, აგრეთვე დედოფალი გურანდუხტი და წაიყვანეს კახეთში. როდესაც ეს დავით კურაპალატმა შეიტყო, გამოილაშქრა მთელი თავისი ძალით, რათა შესულიყო კახეთში. შეიტყვეს რა ეს კახთა, მიუგზავნეს მოციქული დავითს და შესთავაზეს ზავის პირობები: გაათავისუფლებდნენ დატყვევებულებს, დააბრუნებ-დნენ უფლისციხეს, წირქოლისა და გრუის ციხეებს კი თავისთვის დაიტოვებდნენ.

ამანვე, ივანე მარუშისძემ ინება, რომ გაემეფებინა ბაგრატი აფხაზეთში. მასთან ერთად აფხაზეთის და ქართლის ყველა დიდებულმა და აზნაურმა, გამოითხოვა ბაგრატი მეფედ დავით კურაპალატისაგან.

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

ჩაიყვანეს ბაგრატი აფხაზეთში, დალოცეს მეფედ და დაემორჩილა ყველა მის ბრძანებას. ამის შემდეგ ორი წლის მანძილზე განაგებდა, აგვარებდა და ასწორებდა ყველანაირ საქმეს თავისი პაპის, დიდი გიორგი მეფის მსგავსად, შეიძლება უკეთესადაც.

ამის შემდეგ გადმოვიდა ქართლში, რათა მოეწესრიგებინა არეული საქმეები. იმ დროს ქართლის ზოგიერთ აზნაურს არ სურდა ბაგრატის მოსვლა, რადგან ქართლის საქმეებს თავიანთი შეხედულებისამებრ განაგებდნენ. იხილა რა ეს ბაგრატ აფხაზთა მეფემ, შეუძახა თავის მხედრებს, მივიდნენ და შეებნენ. გააქციეს ქართლელნი. ბაგრატი მოვიდა უფლისციხეში, დაჰყო იქ რამდენიმე ხანი, მოაწესრიგა საქმენი ქართლისანი.

გარდაიცვალა დავით კურაპალატი. მოვიდა ბასილი ბერძენთა მეფე და ჩააბარეს დავითის

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

აზნაურებმა მას ციხეები. ეახლნენ მას ბაგრატ და მისი მამა გურგენ. უბოძა გურგენს მაგისტროსობა, ხოლო ბაგრატს - კურაპალატობა. ამით სურდა ერთმანეთისთვის გადაემტერებინა მამა-შვილი. მაგრამ გურგენი წრფელი იყო. ამ მიზეზით ვერ აღუძრა მას გულში ზაკვა და ვერ მიაღწია მიზანს.

ბაგრატმა გაგზავნა მოციქულები კახეთში და ითხოვა ქართლის ციხეები, რომლებიც კახელებს ჰქონდათ დაკავებული. იმ დროს ქორეპისკოპოსი იყო დავითი. მან არ ინება ციხეების ჩაბარება. განურისხდა მას აფხაზთა და ქართველთა მეფე. იხმო ჯარი და დაიწყო კახეთის შემუსვრა. ვერ გაუწია მას წინააღმდეგობა დავითმა. ბაგრატმა მთლიანად დაიპყრო კახეთი და ჰერეთი.

იმ დროისთვის გაძლიერდა ფადლონი, განძის ამირა. დაიწყო ჰერეთისა და კახეთის ერისთავების

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

შევიწროება. მეფე ბაგრატმა მოამზადა ჯარი, გაგზავნა მოციქული სომეხთა მეფე გაგიკთან და მოიწვია ფადლონზე შურის საძიებლად. შეიკრიბნენ ორივენი. როდესაც ფადლონმა დაინახა მათი უძლეველი ძალა, შეეშინდა, უკან დაიხია და თავი შეაფარა ციხეებს. მეფე ბაგრატმა ააოხრა რანის ქვეყანა, მოადგა ქალაქ შამქორს, დააყენა ქვის სასროლი მანქანები და რამდენიმე დღეში დალეწა შამქორის გალავანი. გამოუგზავნა მას ფადლონმა მოციქული, ითხოვა შენდობა. აღუთქვა სიცოცხლის ბოლომდე სამსახური, ხარკი და დაუდო პირობა, რომ თავისი ლაშქრით იბრძოლებდა მისი მტრის წინააღმდეგ. მეფემ მოუწოდა დიდებულებს და შეატყობინა, რომ განზრახული ჰქონდა ფადლონთან დაზავება. ყველამ ბრძნულად გადაწყვიტა, რომ უმჯობესი იყო ზავის დადება.

ამავე დიდმა მეფემ ააშენა ბედიის ტაძარი და დააარსა იქ საეპისკოპოსო. მანვე აკურთხა ქუთათისის ეკლესია.

ეს ბაგრატი, აფხაზთა და ქართველთა მეფე, ყოველმხრივ აღემატებოდა ყველა ხელმწიფეს. დიდი მეფის, ვახტანგ გორგასლის შემდეგ არავინ გამოჩენილა ბაგრატის მსგავსი დიდებით, ძალით და გონებით.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

კითხვები:

(1) **38.1.** მერამდენე ბაგრატის სახელით არის ცნობილი ისტორიაში წყაროში მოხსენიებული მეფე?

(1) **38.2.** წყაროს მიხედვით, რა მოვლენამ აიძულა ივანე მარუშისძე მიემართა დავით კურაპალატისთვის?

(1) **38.3.** დავით კურაპალატის სიტყვით, რომელი კუთხეების მემკვიდრე იყო ბაგრატი?

(1) **38.4.** წყაროს მიხედვით, რა პირობებით გაათავისუფლეს კახელებმა დატყვევებული ბაგრატი?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(1) **38.5.** რომელ წინამორბედ მეფეებს ადარებს მემატიანე ბაგრატ მეფეს?

(1) **38.6.** რა სახელითაა ცნობილი ისტორიაში სახელმწიფო, რომელსაც „ბერძენთა მეფე“ განაგებდა?

(1) **38.7.** წყაროს მიხედვით, ზავის რა პირობები შესთავაზა ფადლონმა ბაგრატს?

(2) **38.8.** წყაროს მიხედვით, რომელი კონკრეტული მოვლენების ინიციატორი იყო ივანე მარუშისძე?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) **38.9.** წყაროს მიხედვით, რომელი პუნქტი იყო იმ დროს ქართლის პოლიტიკური ცენტრი და წყაროში არსებული რა ინფორმაციის საფუძველზე გააკეთეთ საკუთარი დასკვნა?

(2) **38.10.** წყაროს მიხედვით, რატომ არ სურდა ქართლის აზნაურთა ერთ ნაწილს ბაგრატის მორჩილება და რა გზით დაიქვემდებარა ბაგრატმა ისინი?

(2) **38.11.** წყაროს მიხედვით, რა განზრახვა ჰქონდა „ბერძენთა მეფეს“ და რატომ ვერ აღასრულა ის?

(2) **38.12.** რა სახელმწიფოებრივ პროცესს ჩაუყარა საფუძველი ბაგრატმა და რომელმა მეფემ დაასრულა ეს პროცესი?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე